


მეორე ტალღა

18.7

შემცირდა

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




21



110

კვლევის ძირითადი შედეგები



● ბიზნესის განწყობის ინდექსი
 ● ბიზნესის მოლოდინების ინდექსი
 ● მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი
 ● გასაყიდი ფასების მოლოდინები

- 2020 წლის IV კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 18.7 პუნქტით შემცირდა და -28.6-ს გაუტოლდა წინა კვარტალში საგრძნობი გაუმჯობესების შემდეგ. ბიზნესის განწყობა გაუარესდა ყველა სექტორში, ვაჭრობისა და საფინანსო სექტორის გარდა. ყველაზე დიდი შემცირება სამშენებლო სექტორში დაფიქსირდა. BCI-ის უარყოფითი ცვლილება 2020 წლის IV კვარტლისთვის მნიშვნელოვნად პესიმისტურმა მოლოდინებმა განაპირობა.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, 2020 წლის III კვარტალთან შედარებით მხოლოდ 0.2 პუნქტით გაიზარდა და 2020 წლის IV კვარტლისთვის -40.4-ს მიაღწია. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუარესება სამშენებლო სექტორში დაფიქსირდა.
- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 2020 წლის III კვარტლის გაუმჯობესების შემდეგ მკვეთრად გაუარესდა და ახალ ისტორიულ მინიმუმს, -41.7 პუნქტს მიაღწია. 2020 წლის IV კვარტლისთვის მოლოდინების გაუარესება ყველა ეკონომიკურ სექტორში დაფიქსირდა, გარდა ვაჭრობისა.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი გაიზარდა და 2.7 პუნქტს მიაღწია. ეს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ბიზნესების უფრო დიდი წილი ვარაუდობს ფასების გაზრდას საკუთარ პროდუქტზე. ფასების შემცირებას მხოლოდ მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორებში ელოდებიან.
- 2020 წლის IV კვარტლისთვის მოთხოვნისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე ბიზნეს საქმიანობისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორებად იქცა, განსაკუთრებით დიდი კომპანიებისთვის, რაც, "სხვა" ფაქტორების წილის ზრდასთან ერთად, შესაძლოა ასახავდეს COVID-19-ის შემგომი ბიზნეს გარემოს მდგომარეობას.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).


ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, წლიური ზრდა

მცირე და საშუალო



დიდი



სექტორი	კვ IV/20	ცვლილება
მრეწველობა	-18.6	▼ -20.7
მშენებლობა	-57.2	▼ -81.8
ვაჭრობა	15.3	▲ 27.7
მომსახურება	-48.6	▼ -24.9
სოფლის მეურნეობა	1.6	▼ -9.5
საფინანსო სექტორი	-8.9	▲ 0.3
სხვა	-42.5	▼ -88.5

მოთხოვნის სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებებია როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის ფირმებისთვის. 2020 წლის IV კვარტლისთვის ეს ფაქტორები ბიზნეს საქმიანობისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორებად იქცა, განსაკუთრებით დიდი კომპანიებისთვის (გასული ოთხი კვარტლის მდგომარეობით, საშუალოდ, დიდი კომპანიების 34% მთავარ შემზღვეველ ფაქტორად ფინანსებზე ხელმისაწვდომობას ასახელებს, 30% კი - მოთხოვნის სიმცირეს), რაც, „სხვა“ ფაქტორების წილის ზრდასთან ერთად, შესაძლოა ასახავდეს COVID-19-ის შემგომი ბიზნეს გარემოს მდგომარეობას.

ბიზნეს საქმიანობის შემზღვეველი ფაქტორები IV კვარტალი, 2020 წელი

